საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-652

09/08/2018

ქ. თბილისი

ქ. სამტრედიაში ს/ს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 12 ივლისის №2-560 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ს/ს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ მიერ გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით სამინისტროში წარმოდგენილი იყო ქ. სამტრედიაში ა. ბახტაძის ჩიხის N23-ში ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის შემდეგ მიმდინარე წლის 12 ივლისს გაიცა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის №2-560 ბრძანება „ქ. სამტრედიაში ს/ს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“.

აღნიშნული ბრძანებით მიღებულ იქნა სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ „ქ. სამტრედიაში ს/ს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის პირობების ცვლილება დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას“, თუმცა ბრძანების მეორე გვერდის მე-2 პუნქტში დაშვებულია ტექნიკური ხასიათის შეცდომა, კერძოდ, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის ნაცვლად მითითებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილი, რაც საჭიროებს შესწორებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებითა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 59-ე მუხლის თანახმად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქ. სამტრედიაში ს/ს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 12 ივლისის №2-560 ბრძანების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   “ს/ს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“ ვალდებულია უზრუნველყოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლით დადგენილი სკოპინგის პროცედურის გავლა”;
2. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს ს/ს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს ს/ს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი